ხელშეკრულება №-60-7-219-175

ქ. თბილისი 2019 წ. 11.02

I. მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 2019 წლის 11 თებერვალს, ერთის მხრივ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას", წარმოდგენილი მისი მმართველთა საბჭოს წევრის დავით ვარდიაშვილის (რწმუნებულების/მინდობილობის დამოწმება #181378706 09.11.2018წ.) სახით (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ **შპს „დარე"** (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის **ნინო რეხვიაშვილის** სახით, შორის, რომლებიც მოქმედებენ საზოგადოების წესდებისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

II. ხელშეკრულების საგანი

2.1. "მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას გაუწიოს "შემსყიდველს" პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების მომსახურება (შემდგომში ტექ. დათვალიერება) დანართი №1-ის (ფასების ცხრილი) შესაბამისად **CPV – 71631000.**

2.2. დანართი №1 წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

III. მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები

3.1. ხელშეკრულების საერთო თანხა შეადგენს **520 (ხუთასოცი) ლარს დღგ–ს ჩათვლით.** (შემდგომში – ხელშეკრულების ღირებულება).

3.2. ანგარიშსწორება ხორციელდება ეტაპობრივად ფაქტიურად გაწეულ მომსახურებაზე სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3.3 მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

IV. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. „შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს "მიმწოდებელს" ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

4.2. „შემსყიდველი" უფლებამოსილია "მიმწოდებლისგან" მოითხოვოს სრული ინფორმაცია შესასრულებელი მომსახურების მიმდინარეობის შესახებ. წინასწარ გაეცნოს და დაემორჩილოს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ ბრძანებებს და დადგენილებებს სატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების შესახებ" განსაკუთრებით შემდეგ პროცესს: „ტესტირების შედეგად აღმოჩენილი ხარვეზების შემთხვევაში გაიცემა ინსპექტირების ანგარიში „გაუმართავია", გაუმართავობის მიზეზების განმარტებით. ხარვეზების აღმოფხვრის ვადაა 30 კალენდარული დღე, რის შემდეგაც მიმწოდებელი ერთხელ უფასოდ ამოწმებს ხარვეზებს. დადებითი შედეგის შემთხვევაში გაიცემა ინსპექტირების ანგარიში „გამართულია", ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში - ისევ „გაუმართავია" , წინასწარ გადახდილი თანხა ითვლება ათვისებულად და ხელახალი ტესტირების პროცესი იწყება თანხის ახალი გადახდით.

4.3. "მიმწოდებელი" მომსახურებას ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულების დანართი #1-ით (ფასების ცხრილი) განსაზღვრული მოცულობის შესაბამისად.

4.4 "მიმწოდებელი" ვალდებულია ავტომანქანების ტექ. დათვალიერება განახორციელოს არსებული კანონმდებლობის და წესების დაცვით და იგი პასუხისმგებელია მის მიერ გაცემული ცნობის სისწორეზე.

4.5 "მიმწოდებელი" ვალდებულია წერილობით აცნობოს "შემსყიდველს" მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა ქვეკონტრაქტის შესახებ და წარმოადგინოს მათთან დადებული ხელშეკრულების ასლები.

4.6 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი ქვეკონტრაქტი არ ათავისუფლებს "მიმწოდებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული მატერიალური ან სხვა ვალდებულებებისაგან. საბოლოო ურთიერთობა "შემსყიდველსა" და "მიმწოდებელს" შორის ხორციელდება ამ კონტრაქტით განსაზღვრული პირობებით.

V. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადები

5.1 "მიმწოდებელი" ვალდებულია განახორციელოს ავტომანქან(ებ)ის ტექ. დათვალიერება **ეტაპობრივად 2019 წლის განმავლობაში ხელშეკრულების გაფორმებიდან და ,,შემსყიდველის" მიერ ,,მიმწოდებლის" ტერიტორიაზე ავტომანქან(ებ)ის მიყვანიდან ერთი სამუშაო დღის ვადაში (მიმწოდებელთან წინასწარი შეთანხმებით).**

5.2 ავტომანქანების ტექ. დათვალიერება ხორციელდება ,,მიმწოდებლის" ტერიტორიაზე შემდეგ მისამართზე: **ქ. რუსთავი, მშვიდობის ქ. #1.**

VI. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 ,,მიმწოდებლის" მიზეზით მომსახურების დაგვიანებით, არასრულად, ხარვეზით ან საერთოდ არ გაწევის შემთხვევაში, ,,მიმწოდებელი" მოვალეა გადაიხადოს პირგასამტეხლო შეუსრულებელი მომსახურების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე, მომსახურების ჯეროვნად და სრულად გაწევამდე ან ხელშეკრულების შეწყვეტის დღემდე, რომელი ვადაც უფრო ადრე დადგება.

6.2 „შემსყიდველის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფაქტიურად შესრულებული მომსახურების ღირებულების ვადაგადაცილებით (არადროულად) გადახდის შემთხვევაში, ,,მიმწოდებლი" უფლებამოსილია მოსთხოვოს ,,შემსყიდველს" პირგასამტეხლოს გადახდა გადაუხდელი თანხის 0.1% ოდენობით ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტამდე, ან თანხის სრულად გადახდამდე, რომელი ვადაც უფრო ადრე დადგება.

6.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ცალმხრივად შეუსრულებლობისათვის მხარეებს ეკისრებათ ვალდებულება აანაზღაურონ მიყენებული ზარალი სრული მოცულობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ზარალის ანაზღაურება ან მისი მოთხოვნა არ აჩერებს ამ მუხლით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოს დარიცხვას.

6.4 ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია ფაქტიურად შესრულებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურებისას გამოქვითოს (შეამციროს ანაზღაურება) ამ მუხლით გათვალისწინებული და "მიმწოდებელზე" დარიცხული პირგასამტეხლოს თანხა ,,მიმწოდებლისათვის" გადასახდელი თანხის ოდენობიდან. აღნიშნული გამოქვითვა არ შეიძლება გახდეს ,,მიმწოდებლის" მხრიდან ,,შემსყიდველისათვის" 6.2 პუნქტით გათვალიწინებული პირგასამტეხლოს დარიცხვის საფუძველი.

VII. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 "მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს "შემსყიდველი" კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ "შემსყიდველი" კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მისი შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით "შემსყიდველი".

7.2 "მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

7.3 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს "მიმწოდებელს" მოცემული ხელშეკრულების ვალდებულებებისაგან.

7.4 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს "შემსყიდველის" მხრიდან უზრუნველყოფს სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" ტრანსპორტის მონიტორინგის და სერვისის განყოფილების უფროსი დავით თევდორაშვილი.

7.5 კონტროლი განხორციელდება გაწეული მომსახურების ხარისხისა და მომსახურების გაწევის ვადის შესაბამისობით ხელშეკრულების პირობებთან.

VIII. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

8.1 "მიმწოდებლის" მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 7.4 ქვეპუნქტით განსაზღვრული პირი ამოწმებს გაწეული მომსახურების შესაბამისობას წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან. ხარვეზების არ არსებობის შემთხვევაში ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი ფაქტიურად შესრულებულ მომსახურებაზე.

8.2 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისთანავე. მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მხრიდან ხელმომწერი პირია ლოგისტიკის დეპარტამენტის უფროსი ნოდარ ქუბრიაშვილი.

IX. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მათ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით და სხვა. ფორს–მაჟორის არსებობის საკმარის დამადასტურებელ ცნობად მხარეები განიხილავენ შესაბამისი ქვეყნის სავაჭრო – სამრეწველო პალატის მიერ გაცემულ სათანადო ცნობას.

9.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

X. ურთიერთობა მხარეებს შორის

10.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონით, დეპეშის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში

წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.

10.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

XI. ხელშეკრულების პირობების შეცვლა და/ან ვადამდე მოშლა

11.1 ამ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება და/ან დამატება შეიძლება შეტანილი იქნეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

11.2 შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა. ამასთან, ასეთ შემთხვევაშიც დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

11.3. ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე მოიშალოს:

11.3.1. მხარეთა შეთანხმებით;

11.3.2. ერთ-ერთი მხარის განცხადებით მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების არსებითად დარღვევის შემთხვევაში;

11.4 "შემსყიდველს" შეუძლია ხელშეკრულება ვადამდე შეწყვიტოს:

11.4.1. თუ "შემსყიდველისათვის" ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

11.4.2. "მიმწოდებლის" გაკოტრების შემთხვევაში;

11.4.3. თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ "მიმწოდებლის" მიერ მიწოდებული ინფორმაცია ყალბი აღმოჩნდება;

11.4.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.5. ამ მუხლის 11.4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში "შემსყიდველი" ვალდებულია აუნაზღაუროს "მიმწოდებელს" ფაქტიურად შესრულებული მომსახურების ღირებულება.

XII. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

12.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

XIII. დავათა განხილვა

13.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა მოლაპარაკებების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ

ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში მხარეები ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

XIV. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეებს შორის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს **2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.**

XV. ხელშეკრულების სხვა პირობები

15.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ყოველ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

15.2 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, მხარეები მოქმედებენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

15.3 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები შესასრულებლად სავალდებულოა მხარეთათვის და მათი შესაბამისი სამართალმემკვდრეებისა და უფლებამონაცვლეთათვის. დაუშვებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების გადაცემა სხვა მხარისათვის მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.4 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები წარმოადგენს კონფედენციალურ ინფორმაციას და არ უნდა მოხდეს მათი გამჟღავნება სხვა მხარისათვის, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

15.5 წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ზ) ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 03 იანვრის #37 დადგენილების და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 01 დეკემბრის #522 დადგენილების შესაბამისად.

XVI. მხარეთა რეკვიზიტები

"შემსყიდველი":	**"მიმწოდებელი":**
სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"	შპს ,,დარე"
	მობ: 599 90 36 26
ქ. თბილისი, ზარათაშვილის ქ. #2	ქ. რუსთავი, მშვიდობის ქ. #1
საიდ. კოდი 204995176	საიდ. კოდი: 216295248
სს "თი ბი სი ბანკი"	სს "თი ბი სი ბანკი"
ბანკის კოდი TBCBGE 22	ბანკის კოდი TBCBGE 22
ანგარიშის # GE02TB0600000102467636	ანგარიშის#GE26TB7349145067600002
დავით ვარდიაშვილი	ნინო რეხვიაშვილი
მმართველთა საბჭოს წევრი	გენერალური დირექტორი

JSC Georgian State Electrosystem
Digitally signed by JSC Georgian State Electrosystem
Date: 2019.02.11 16:03:26 +04'00'

დანართი #1

ფასების ცხრილი

	ა/მ დასახელება		სახ. ნომერი	ერთი ავტომანქანის ტექ. დათვალიერების ფასი (ლარი) დღგ-ს ჩათვლით
1	კია	ფრონტიერი	BB-651-VV	60.00
2	ვაზ	ნივა	DAC-907	60.00
3	უაზი	31519	DIN-579	60.00
4	ვაზ	ნივა	EEF-995	60.00
5	მანი	TGM 13.240	GS-003-EI	100.00
6	ტოიოტა	ჰაილუქსი	GS-300-EI	60.00
7	უაზი	39099	LUK-364	60.00
8	უაზი	390902	RXR-241	60.00
მთლიანი ღირებულება დღგ-ს ჩათვლით				**520.00**

"შემსყიდველი":

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"

დავით ვარდიაშვილი
მმართველთა საბჭოს წევრი

"მიმწოდებელი":

შპს ,,დარე"

ნინო რეხვიაშვილი
გენერალური დირექტორი

სს “სსე“-ს ა/მანქანების ტექ. დათვალიერების მომსახურების
(რუსთავის მასშტაბით) შესყიდვა მიმწოდებელი შპს “დარე”.

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა სს ,,სსე“-ს ა/მანქანების გზისთვის ვარგისიანობაზე ტესტირების მომსახურების გამარტივებულ შესყიდვაზე (მიმწოდებელი **შპს “დარე”**), არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონის “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” მე-8 მუხლით “ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებით” გათვალისწინებულ მოთხოვნებს:

შეთანხმებულია:

დავით ვარდიაშვილი
მმართველთა საბჭოს წევრი

მამუკა სხილაძე
მმართველთა საბჭოს წევრი

დავით გოლოშვილი
იურიდიულ საკითხთა და სემეკ-თან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი

ნოდარ ქუბრიაშვილი
ლოგისტიკის დეპარტამენტის უფროსი

ზვიად იმნაიშვილი
ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

მურთაზ სიჭინავა
შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი

ლაშა შენგელია
შესყიდვების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

მანანა ამაღლობელი
შესყიდვების სამსახურის უფროსი

ნინო მაისურაძე
მთავარი ბუღალტერი

დავით თევდორაშვილი
ტრანსპორტის სამსახურის მონიტორინგის და სერვისის განყოფილების უფროსი

ნატო შენგელია
ბიუჯეტირებისა და ანგარიშგების სამსახურის სპეციალისტი

I-TRANSP 110

გიორგი გიორგაძე
შესყიდვების უფროსი სპეციალისტი

JSC Georgian State Electrosystem
Digitally signed by JSC Georgian State Electrosystem
Date: 2019.02.11 16:03:52 +04'00'